

ევროკავშირის გაფართოება: ეადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების როლი

2023 წლის 4 და 5 მაისს ბრიუსელში, ბელგიაში, გაიმართა [ევროპის რეგიონთა კომიტეტის](#) მიერ ორგანიზებული ღონისძიება სახელწოდებით „ევროკავშირის გაფართოება“, რომელიც ორგანიზებული იყო სამეზობლო და გაფართოების საკითხებზე მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატის (DG NEAR) და [ევროკომისიის](#) მხარდაჭერით.

წლევანდელი ღონისძიების მთავარი თემა განაპირობა შეცვლილმა პოლიტიკურმა რეალობამ.

უკრაინას, მოლდოვასა და ბოსნია-ჰერცეგოვინას მიენიჭა კანდიდატის სტატუსი ხოლო კოსოვო* განიხილება, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების პოტენციური კანდიდატი.

„ევროკავშირის გაფართოების“ ფარგლებში გამართული სამუშაო ჯგუფებისა და ერთობლივი საკონსულტაციო კომიტეტების პრეზენტაციები და დებატები ეძღვნებოდა გაფართოების პროცესის შესახებ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ცნობიერების ამაღლებას.

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გააზიარეს თავიანთი გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა იმის შესახებ, თუ როგორ ჩაერთოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკაში.

ევროკავშირში გაწევრიანებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები

ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ 2023 წელი მიეძღვნება [ევროპული უნარების](#) განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებს. ღონისძიება წარმოადგენდა შესაძლებლობას გამოეკვლია საჭიროებები და პრიორიტეტები იმის თაობაზე, თუ რა უნარები სჭირდებათ ადგილობრივ და რეგიონულ დაინტერესებულ მხარეებს და როგორ იმოქმედონ ევროკავშირის წესებისა და პროცედურების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა კვალიფიციური კადრების გადინება ქვეყნიდან.

ALDA-ს დასავლეთ ბალკანეთის რეგიონულმა კოორდინატორმა და სკოპიეს ოფისის აღმასრულებელმა დირექტორმა, ქალბატონმა კატიკა ჟანევამ, მონაწილეობა მიიღო ბრიუსელში გამართულ ღონისძიებაში. მან დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა ALDA-ს გამოცდილება, განსაკუთრებით საჯარო ადმინისტრაციის უნარების გაძლიერებისა და კვალიფიციური კადრების გადინების კუთხით. ALDA დასავლეთ ბალკანეთში ფოკუსირებულია ევროკავშირის პერსპექტივაზე და ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარებაზე.

„ევროკავშირის გაფართოება“ არის ევროპის რეგიონთა კომიტეტის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური ფლაგმანი ღონისძიება ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ, რომელიც პირველად 2015 წელს გაიმართა.